

ქ.თბილისი

2018 წლის 22 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 22 მარტს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა, კომისიის წევრის ირაკლი ჩიქავას მიერ, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის გამო, კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი ჩიქავა.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნარიანად. ამის გამო, არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: ვახტანგ სამხარაძე, ლაშა თავართქილაძე, აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაძე, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია და ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის სხდომის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქავა.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ფ. გაბაძის ოქმი და ოფიციალური ვიდეომასალა, ამა წლის 17 მარტს, I ლიგის მატჩზე, კიკეთის „იუნკერები“-სა და ქუთაისის „არესი“-ს შორის, მომხდარი ფაქტების შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. კიკეთის „იუნკერები“-ს კლუბის წარმომადგენელი ა. ზაბახიძე - აგრესიული, არაეთიკური და არასპორტული საქციელის გამოვლენა, მატჩის ოფიციალური პირების მისამართით.
2. კიკეთის „იუნკერები“-ს მორაგბე ნიკა დვალაძე (№ 16) - კონფლიქტის პროვოცირება.
3. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე გიორგი ახალაძე (№ 18) - კონფლიქტის პროვოცირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.1 და 2.2.7 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კიკეთის „იუნკერები“-ს კლუბის წარმომადგენელი ა. ზაბახიძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი „იუნკერები“ დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.
2. კიკეთის „იუნკერები“-ს მორაგბე ნიკა დვალაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
3. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე გიორგი ახალაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
4. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 21 აპრილამდე.
5. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ კიკეთის „იუნკერები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის სხდომის თავმჯდომარე

*ირაკლი ჩიქავა*

/ირაკლი ჩიქავა/